

15.02.2012

## საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად, 6.5 პროცენტზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 15 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.5 პროცენტს შეადგენს.

როგორც მოსალოდნელი იყო იანვარში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდა და 0.5 პროცენტი შეადგინა. კლების ტენდენცია აქვს ასევე საბაზო ინფლაციის მაჩვენებელსაც (სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით).

არსებული პროგნოზებით, წლის პირველ ნახევარში, საბაზო ეფექტის გავლენით ინფლაციის მაჩვენებელი კიდევ უფრო შემცირდება. ივნისიდან მოსალოდნელია კლების ტენდენციის შეცვლა, თუმცა ეს მაჩვენებელი წლის განმავლობაში კვლავ მიზნობრივ დონეზე ნაკლები იქნება და ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს წლის ბოლოს დაუბრუნდება.

მიუხედავად ინფლაციის დაბალი მაჩვენებლისა, წლის ბოლოს რეალური გაცვლითი კურსი გამყარდა. ეს უკავშირდება ეროვნული ვალუტის ნომინალური გაცვლითი კურსის უფრო მაღალი ტემპით გამყარებას ძირითადი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებთან შედარებით. რეალური კურსის გამყარება ერთი მხრივ, ხელს უწყობს სავაჭრო დეფიციტის გაზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მოთხოვნის შესუსტებას განაპირობებს.

მეოთხე კვარტალში, წინასწარი ინფორმაციით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოსალოდნელზე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა, შედეგად წლიური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი 6.8 პროცენტს შეადგენს. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ იანვრის თვეში გაიზარდა ფულადი გზავნილების შემოდინებები, ამ მაჩვენებელმა 13.4 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის იანვრის მონაცემს.

ზემოთაღწერილი ფაქტორებისა და ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების მიმდინარე და მოსალოდნელი დინამიკის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2012 წლის 28 მარტს გაიმართება.